ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 45

13 ---11--- 2013

ქ.ბათუმი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე. ერთის მხრივ ---------- შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ---------- შემდგომში "მიმწოდებელი", შ.პ.ს, „აჭარპრესა" დირექტორი ავთანდილ ჩირგაძე ქ.ბათუმი ვაჟა-ფშაველას ქ. №26 ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, (შემდგომში საქონელი) CPV-222 000 00 რომლის რაოდენობა და ფასი განისაზღვრება ფორმა № 3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. სახელშეკრულებლო თანხა

2.1. შემსყიდველი დებულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ჟურნალ-გაზეთების ღირებულება, რომლის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ---91--- ლარი ---10--- თეთრი (---------- ლარი ---10--- თეთრი)

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი მიწოდებული იქნება შეთანხმების სრული დაცვით.

4.ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ 5 საბანკო დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3 ანგარიშსწორება მიმწოდებლთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5..3 ნებისმირი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულებითი ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1 მიმწოდებელმა შემსყიდვლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფრხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

8.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

9. ხელშკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და ან გამოცადოს საქონელი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

9.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნეველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

9.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხრეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემობების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ
მხარე დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხრივ, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის ---------- 31 დეკემბრამდე ---------- ჩათვლით

16. გადასახადები და ბაჟები

16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარი, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლიარად, რომელიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] UGEBGE22
[illegible] GE15VT5500000000943408
[illegible] 248376657

"შემსრულებელი"
შ.პ.ს.„აჭარპრესა"
ქ.ბათუმი ვაჟა-ფშაველას ქ.№26
„ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბათუმის ფილიალი
ანგარიში: GE98VT5500000001553402
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 524 561
ბანკის კოდი UGEBGE22

დირექტორი: /ა.ზორაძე/

ინფორმაცია ფასების და გრაფიკის შესახებ.

ფორმა №3

(ივსება მიმწოდებლის მიერ)

ელექტრული სანთელი 1ცალი

№	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	ეზო განათ.	1	67,60		ყვარელი	14 დღე
2	ჩ/ სანთელი	1	14,20			
			86,80			
	5%		4,30			
			91,10			